საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

საინფორმაციო ფურცელი

მსოფლიოში კონკურენციის უწყებების მიერ განხორციელებული აქტივობები

სექტემბერი, 2025

ევრო კომისია

ევრო კომისიამ GOOGLE 2.95 მილიარდი ევროს ოდენობით დააჯარიმა

ევრო კომისიამ Google-ს 2.95 მილიარდი ევროს ოდენობის ჯარიმა დააკისრა ევროკავშირის ანტიმონოპოლიური წესების დარღვევის გამო, რაც ონლაინ რეკლამის ტექნოლოგიების (AdTech) ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვას იწვევდა.



კომისიის შეფასებით, კომპანიამ საკუთარი ონლაინ რეკლამის ტექნოლოგიური სერვისები თვითპრეფერენციულად გამოიყენა, რაც ზიანს აყენებდა კონკურენტულ სერვისის მიმწოდებლებს, რეკლამდებლებსა და ონლაინ გამომცემლებს.

კომისიამ Google-ს დაავალა:

- შეწყვიტოს თვითპრეფერენციული პრაქტიკა;
- განახორციელოს ზომები, რათა აღმოფხვრას AdTech მიწოდების ჯაჭვში არსებული ინტერესთა კონფლიქტები.

Google-ს 60-დღიანი ვადა აქვს კომისიისთვის წარმოადგინოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ გეგმავს აღნიშნული ვალდებულებების შესრულებას.

Google არის აშშ-ში დაფუძნებული მულტინაციონალური ტექნოლოგიური კომპანია, რომლის ძირითადი შემოსავალი რეკლამიდან მოდის.

რეკლამის განმთავსებლები და გამომცემლები დამოკიდებულნი არიან AdTech ინდუსტრიის ციფრულ ინსტრუმენტებზე, რომლებიც გამოიყენება რეალურ დროში რეკლამის განთავსებისთვის.

AdTech ინდუსტრია ძირითადად სამი ძირითადი ციფრული ინსტრუმენტით ოპერირებს:

- გამომცემლის რეკლამის სერვერები, გამოიყენება ვებგვერდებსა და აპლიკაციებზე რეკლამის სივრცის სამართავად;
- პროგრამული რეკლამის შესყიდვის ინსტრუმენტები ღია ვებგვერდებისთვის;
- რეკლამის გაცვლის პლატფორმები.

ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელსაც აღნიშნულმა ანტიკონკურენტულმა ქმედებებმა ზიანი მიაყენა, შეუძლია მიმართოს წევრი სახელმწიფოების ეროვნულ სასამართლოებს და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

„Google-ს ახლა უნდა წარადგინოს სერიოზული ზომები ინტერესთა კონფლიქტის მოსაგვარებლად, ხოლო მათი შეუსრულებლობის შემთხვევაში ჩვენ არ შევიკავებთ თავს მკაცრი ზომების მიღებისგან. ციფრული ბაზრები უნდა ემსახურებოდეს ადამიანებს და ეფუძნებოდეს ნდობასა და სამართლიანობას. როდესაც ბაზრები ვერ მუშაობს სათანადოდ, საჯარო ინსტიტუტებს ევალებათ იმოქმედონ, რათა თავიდან აიცილონ დომინანტური მოთამაშეების ძალაუფლების ბოროტად გამოყენება. ჭეშმარიტი თავისუფლება გულისხმობს თანაბარ სათამაშო მინდორს, სადაც ყველა თანაბარ პირობებში კონკურირებს და მოქალაქეებს რეალური არჩევანის უფლება აქვთ“-განცხადა უწყებამ.

წყარო:

პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის კომისია

"ბიდრონიკას" სააქციო ფასები

პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის ოფისმა (UOKiK) დაიწყო მოკვლევა Jeronimo Martins Polska-ს („ბიდრონკა") წინააღმდეგ, რაც ეხება მომხმარებელთა კოლექტიური ინტერესების დარღვევას ფასების გამჭვირვალობისა და „ომნიბუსის დირექტივის" მოთხოვნების შესრულების კუთხით. კომპანიას ემუქრება ჯარიმა, რომელიც შეიძლება შეადგენდეს მისი წლიური ბრუნვის 10%-ს, ხოლო სამ მენეჯერს, თითოეულს 2 მილიონ ზლოტამდე.

მოკვლევა ეფუძნება მომხმარებელთა საჩივრებს „ბიდრონკას" აქციებისას დაფიქსირებულ დარღვევებზე: შეთავაზებების არასწორ ფასებზე და 30 დღით ადრე არსებული ყველაზე დაბალი ფასის მცირე შრიფტით გამოქვეყნებაზე. სავაჭრო ინსპექციამ შეამოწმა „ბიდრონკას" მაღაზიები და დაადასტურა მომხმარებელთა შეცდომაში შემყვანი პრაქტიკა.

ფასი შოპინგისას მომხმარებლისთვის ძირითადი ფაქტორია. მათ სჭირდებათ ნათელი ინფორმაცია პროდუქტის საბოლოო ფასის შესახებ, რათა მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები. თუმცა „ბიდრონკას" ფასების ეტიკეტები იყო შეცდომაში შემყვანი. ეს არის ფუნდამენტური მომხმარებლის უფლების დარღვევა.

მოკვლევამ აჩვენა, რომ „ბიდრონკა" სისტემატურად იყენებდა მრავალერთეულოვან შეთავაზებებს („1+1 უფასოდ", „მეორე 50% ფასდაკლებით") სხვადასხვა პროდუქტზე და ხშირად მიუთითებდა ფასდაკლებას ჩვეულებრივი ფასიდან, არა 30 დღით ადრე არსებულ ყველაზე დაბალ ფასიდან, რაც „ცრუ ფასდაკლების" შთაბეჭდილებას ქმნიდა.

UOKiK 2023 წლიდან ამოწმებს „ომნიბუსის დირექტივის" შესრულებას სხვადასხვა კომპანიებში, მათ შორის Aldi, Dino, Lidl და Żabka. ამჟამად მიმდინარეობს შვიდი მოკვლევა (Zalando, Media Markt, Sephora, Glovo, Shell Polska, AzaGroup და Temu). 70-ზე მეტი რეკომენდაციაა გაცემული.

[წყარო:]

იტალიის კონკურენციის უწყება

ანტიკონკურენტული შეთანხმებისთვის კომპანიები დაჯარიმდნენ 936 მილიონ ევროზე მეტით

იტალიის კონკურენციის უწყებამ დაასრულა მოკვლევა Eni, Esso, IP, Q8, Saras და Tamoil-ის წინააღმდეგ, ასევე Repsol-ის ქცევის თაობაზე, რომელიც ამჟამად Tamoil-ის მფლობელობაშია. მოკვლევამ დაადგინა, რომ კომპანიებმა 2020 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 30 ივნისამდე განახორციელეს ანტიკონკურენტული შეთანხმება, რომლის მიზანი იყო საავტომობილო და სატვირთო საწვავის ფასებში ბიოკომპონენტის ღირებულების კოორდინირებული განსაზღვრა.

ამის შედეგად, კომპანიებს ჯამში დაეკისრათ 936,659,087 ევროს ჯარიმა:

- Eni - 336,214,660 ევრო
- Esso - 129,363,561 ევრო
- IP -163,669,804 ევრო
- Q8 - 172,592,363 ევრო
- Saras - 43,788,944 ევრო
- Tamoil - 91,029,755 ევრო

მოკვლევამ დაადასტურა, რომ კომპანიები ახორციელებდნენ პარალელურ, დიდწილად დამთხვევით ფასების ზრდას, რაც გამოწვეული იყო მათ შორის პირდაპირი ან ირიბი ინფორმაციის გაცვლით. ბიოკომპონენტის ღირებულება, რომელიც 2019 წელს დაახლოებით 20 €/მ³ იყო, 2023 წლისთვის გაიზარდა 60 €/მ³-მდე. პროცესს ხელს უწყობდა „Staffetta Quotidiana“-ში ბიოკომპონენტის ზუსტი ღირებულების გამოქვეყნება, რომელიც Eni-მ მიაწოდა გამოცემას.

აღნიშნული შეთანხმება ზღუდავდა კონკურენციას საწვავის ბაზარზე.

წყარო:

1

საფრანგეთის კონკურენციის უწყება

ინსპექტირება კიბოს მკურნალობის სექტორში

სათანადო უფლებამოსილი მოსამართლის ნებართვით, საფრანგეთის კონკურენციის უწყების საგამოძიებო სამსახურმა 23 სექტემბერს ჩაატარა ინსპექტირება კომპანიაში, რომელიც ეჭვმიტანილია ანტიკონკურენტული პრაქტიკის განხორციელებაში კიბოს მკურნალობის სექტორში.

[წყარო:]

1

ლუქსემბურგის კონკურენციის უწყება

მოკვლევა ჩამოსასხმელი ლუდის სექტორში

ლუქსემბურგის კონკურენციის უწყებამ წარადგინა დაიწყო მოკვლევა ორი კომპანიის წინააღმდეგ, რომლებიც აქტიურად მოქმედებენ ლუქსემბურგის ლუდის სექტორში. აღნიშნული კომპანიები ბრალდებულნი არიან ეროვნული ბაზრის დომინირებაში „out-of-home“ არხებზე (ძირითადად სასტუმროები, კაფეები და რესტორნები) ერთბრენდიანი კონტრაქტების გამოყენებით, რომლებიც მოიცავს ლუქსემბურგში მდებარე სასმელთა ობიექტების უმრავლესობას.

მოკვლევის პირველადი შედეგების მიხედვით, აღნიშნული კონტრაქტები ითვალისწინებს, რომ ობიექტები რამდენიმე წლის განმავლობაში ლუდის უმრავლესობას ერთი ლუდსახარშის ჯგუფისგან შეიძენენ, რაც გამოიწვევს:

- კონკურენტ ლუდსახარშებისთვის ბაზარზე შესვლის ან არსებობის გაძლიერების შესაძლებლობების შეზღუდვას;
- ფასობრივი კონკურენციის შემცირებას ლუდსახარშებს შორის;
- ბრენდებს შორის კონკურენციის შეზღუდვას სასმელთა ობიექტებში.

აღნიშნული ქეისი არ წარმოადგენს ლუქსემბურგის კონკურენციის უწყების კოლეგიის საბოლოო გადაწყვეტილებას. კოლეგია საბოლოო დასკვნას მიიღებს მხოლოდ მოკვლევის დასრულების შემდეგ, რაც მოიცავს მხარეების მიერ წერილობითი შენიშვნების წარდგენასა და, საჭიროების შემთხვევაში, მათი მოსმენას, რათა შეფასდეს პრეტენზიების საფუძვლის სისწორე.

[წყარო:]

1

ბელგიის კონკურენციის უწყება

ბელგიის უწყება აქვეყნებს რეკომენდაციებს ფარმაცევტულ კომპანიებს შორის ინფორმაციის გაცვლის შესახებ კომბინირებული თერაპიების სუბსიდირების განაცხადების კონტექსტში

ბელგიის კონკურენციის უწყებამ (BCA) გასცა რეკომენდაციები ფარმაცევტულ კომპანიებზე, რომლებიც გეგმავენ ინფორმაციის გაცვლას კომბინირებული თერაპიების სუბსიდირების განაცხადების ფარგლებში. კომბინირებული თერაპიები აერთიანებს ორ ან მეტ განსხვავებულ მედიკამენტს, ხშირად სხვადასხვა კომპანიების წარმოებას, რაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გახდეს სერიოზული დაავადებების, მაგალითად, ზოგიერთი კიბოს ტიპის მკურნალობაში.

სამედიცინო პრაქტიკაში ასეთი თერაპიები ჩვეულებრივ მოიცავს ძირითად მედიკამენტს, რომელიც უკვე დამტკიცებულია და სუბსიდირებადია მონოთერაპიის სახით კონკრეტული თერაპიული ინდიკაციისთვის, და "დამატებით" მედიკამენტს, რომელიც განკუთვნილია სხვა ინდიკაციისთვის.

ბელგიის ჯანმრთელობისა და შეზღუდული შესაძლებლობების დაზღვევის ეროვნულმა ინსტიტუტმა (NIHDI) განსაზღვრა პროცედურა, რომლის დაცვითაც ფარმაცევტულ კომპანიებს შეუძლიათ სუბსიდირებული თერაპიების განაცხადების წარდგენა.

რეკომენდაციების დოკუმენტი განსაზღვრავს, რა პირობებში შეუძლიათ კომპანიებს გაცვალონ კონკრეტული და აუცილებელი ინფორმაცია ერთობლივი სუბსიდირების განაცხადის მიზნებისთვის, ამავდროულად მინიმუმამდეა დაყვანილი კონკურენციის კანონის დარღვევის რისკი. ინფორმაციის გაცვლა უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ იმ

მონაცემებით, რომელიც ობიექტურად საჭიროა კომბინირებული თერაპიის სუბსიდირებისთვის. შეიძლება გაზიარებული იყოს, მაგალითად, ეპიდემიოლოგიური მონაცემები (დაავადებულ პაციენტთა რაოდენობა, დაავადების გავრცელების მაჩვენებლები) და პაციენტის დონეზე არსებული მონაცემები. კომერციულად მგრძნობიარე ინფორმაციის გაცვლა, როგორიცაა ღირებულების მონაცემები, ნეტო ფასები და პროდუქციის შიდა და ნეტო მარჟები, მკაცრად აკრძალულია.

BCA ხაზს უსვამს თითოეული კომპანიის ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას, შეაფასოს ინფორმაციის გაცვლის საჭიროება და თანაფარდობა. რეკომენდირებულია დამატებითი ზომები, მათ შორის სპეციალური შიდა ჯგუფების დანიშვნა და მკაცრი კონფიდენციალურობის პროტოკოლების შექმნა.

[წყარო:]

1

ლიეტუვის მომხმარებელთა დაცვის სახელმწიფო უწყება

უწყება კრძალავს სახიფათო პროდუქტებს ბაზარზე

ლიეტუვის მომხმარებელთა დაცვის სახელმწიფო სამსახურმა (SCPS) განახორციელა მკაცრი ზომები ლიეტუვის ბაზარზე სახიფათო პროდუქტების გავრცელების თავიდან ასაცილებლად. ბოლო პერიოდში უწყებამ განხორციელა მოკვლევა, რომლის შედეგად რამდენიმე კომპანიას დაეკისრა სანქციები ავეჯის, ელექტრო მოწყობილობების, კოსმეტიკური და ქიმიური პროდუქტების უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის გამო.

მიღებული გადაწყვეტილებები:

- **DARK METAL სკამი (UAB "ZBIGA")** – არ აკმაყოფილებს უსაფრთხოების სტანდარტებს; მოხსნილია ბაზრიდან, განადგურებულია და მომხმარებლები არიან გაფრთხილებულნი; ჯარიმა: 200 ევრო.

- **კოსმეტიკური პროდუქტები (UAB "So more")** – შეიცავს აკრძალულ ნივთიერებას Butylphenyl Methylpropional; მოხსნილია ბაზრიდან, განადგურებულია და მომხმარებლები არიან გაფრთხილებულნი; ებულნი; ჯარიმა: 2,000 ევრო.

- **კაბელი "OKKO" (UAB "Kesko Senukai Lithuania")** – არ შეიცავს დამცავს. მოხსნილია ბაზრიდან, განადგურებულია და მომხმარებლები არიან გაფრთხილებულნი; ჯარიმა: 1,325 ევრო.

- **ელექტრო გერლიანდები (UAB "WORLD CONNECT")** – გამოირჩევა გადახურებისა და დამცავი ზომების ნაკლებობით; მოხსნილია ბაზრიდან, განადგურებულია და მომხმარებლები არიან გაფრთხილებულნი; ჯარიმა: 1,325 ევრო.

- **უნივერსალური დამტენი FK11-1 (UAB "Eripo")** – თერმოპლასტიკური ნაწილები არ არის სითბოს მიმართ მდგრადი; მოხსნილია ბაზრიდან, განადგურებულია და მომხმარებლები არიან გაფრთხილებულნი; ჯარიმა: 3,100 ევრო + ექსპერტიზის ხარჯი: 503,36 ევრო.

- **Collex ზამთრის შუშის საწმენდი მეთანოლით (UAB "Pilosoma")** – შეიცავს 19% მეთანოლს; მოხსნილია ბაზრიდან, განადგურებულია და მომხმარებლები არიან გაფრთხილებულნი; ჯარიმა: 2,200 ევრო + ექსპერტიზის ხარჯი: 34,90 ევრო.

- **Gadstrup სასადილო სკამები (JYSK Baltic UAB)** – კონსტრუქციის დეფორმაცია; მოხსნილია ბაზრიდან, განადგურებულია და მომხმარებლები არიან გაფრთხილებულნი; ჯარიმა: 1,200 ევრო.

SCPS მოუწოდებს მომხმარებლებს, რომლებმაც შეიძენეს ზემოთ ჩამოთვლილი პროდუქტები, **შეწყვიტონ მათი გამოყენება**, დაუკავშირდნენ გამყიდველს და მოითხოვონ თანხის ანაზღაურება.

სამსახურის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს საჩივრის შეტანა შეუძლია დაინტერესებულ მხარეებს ადმინისტრაციულ სასამართლოში, ერთი თვის ვადაში გადაწყვეტილების გამოცემიდან, ადმინისტრაციული პროცედურის კანონით განსაზღვრული წესების შესაბამისად.

წყარო:

ავსტრალიის კონკურენციისა და მომხმარებლის კომისია

ფედერალურმა სასამართლომ OPTUS-ს 100 მილიონი ავსტრალიური დოლარის ჯარიმა დააკისრა მომხმარებლებთან არასათანადო მოპყრობის გამო

ფედერალურმა სასამართლომ Optus Mobile Pty Ltd-ს (Optus) 100 მილიონი ავსტრალიური დოლარის ჯარიმა დააკისრა მობილური ტელეფონებისა და მომსახურების გაყიდვისას არასათანადო, არასამართლიანი მოპყრობის გამო.

2019 წლის აგვისტოდან 2023 წლის ივლისამდე, Optus-ის 16 მაღაზიაში 400-ზე მეტი მომხმარებელი დაზარალდა, მათ შორის მოწყვლადი ჯგუფები, როგორიცაა First Nations ავსტრალიელები. მომხმარებლები იღებდნენ პროდუქტებსა და სერვისებს, რომლებიც მათ არ სჭირდებოდათ, ვერ გამოიყენებდნენ ან ვერ შეეძლებდნენ შეძენას. ასევე, ხშირად არ იყო განმარტებული ხელშეკრულების პირობები და დავების მართვა არასათანადოდ ხდებოდა. Optus-მა აღიარა ქმედებების არასამართლიანობა და სასამართლოსთან შეთანხმებით გადაიხადა ჯარიმა.

გარდა ამისა, Optus-მა ACCC-სთან 5-წლიანი შეთანხმება გააფორმა, რომელიც მოიცავს:

- დაზარალებულთა კომპენსაციას;
- შიდა კონტროლის სისტემების გაუმჯობესებას;
- მოწყვლადი მომხმარებლების მხარდაჭერის უზრუნველყოფას;
- 1 მლნ ავსტრალიური დოლარის დაფინანსებას First Nations ავსტრალიელების ციფრული განათლებისთვის;

Optus-ის ქმედებები მიუღებელი იყო. ეს ჯარიმა არის გაფრთხილება ბაზრის სხვა მოთამაშეებისთვის, რომ მოწყვლადი მომხმარებლების დაცვა მათი პირდაპირი ვალდებულებაა.

[წყარო:]

1

სომხეთის კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის კომისია

სომხეთის უწყებამ კომპანიებს ჯარიმა დააკისრა

სომხეთის კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის კომისიამ "Toch-Master", "Inntech", "Q Terminal", "HDM Shtrikh", "Terminal Serv", "Mary-Christ" და "Smart Solutions" 288 828 000 დრამის ოდენობით ჯარიმა დააკისრა. აღნიშნული სანქცია კომპანიებს დაეკისრათ ნაღდი ანგარიშსწორების აპარატების მომსახურების შეძენაზე დაუსაბუთებლად მაღალი (1 800–დან 3 600 დრამამდე) და დისკრიმინაციული ფასების დაწესებისა და გამოყენების გამო, რაც დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას წარმოადგენდა.

მიღებული გადაწყვეტილებით, კომისიამ კომპანიებს დაავალა:

- დაუსაბუთებლად მაღალი და დისკრიმინაციული ფასების დაწესებისა და გამოყენების დაუყოვნებლივ შეწყვეტა;
- დამატებითი შემოსავლის დაბრუნება ან ჩათვლა იმ ეკონომიკური ოპერატორებისთვის, რომლებმაც 2024 წლის 1 ნოემბრიდან 2025 წლის 31 მაისამდე შეისყიდეს ნაღდი ანგარიშსწორების აპარატების მომსახურება.

წყარო:

1

COMPETITION POLICY INTERNATIONAL

თურქეთის უწყებამ ფრინველის მსხვილ მწარმოებელ კომპანიებს 3.7 მილიარდი ლირის ჯარიმა დააკისრა

თურქეთის კონკურენციის უწყებამ ფრინველის მსხვილ მწარმოებლებს 3.7 მილიარდი ლირის (დაახლოებით 89 მილიონი აშშ დოლარის) ოდენობის ჯარიმა დააკისრა ბაზარზე სამართლიანი კონკურენციის პირობების დარღვევის გამო. Bloomberg-ის ინფორმაციით, აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ფართომასშტაბიანი მოკვლევის საფუძველზე, რომელმაც გამოავლინა, რომ კომპანიები ერთმანეთს უზიარებდნენ ისეთ ინფორმაციას, რომელიც ფასების სტრატეგიებზე გავლენას ახდენდა.

წყარო:

გამოყენებული ინფორმაცია ეყრდნობა უწყებების/ორგანიზაციების ოფიციალურ საიტებზე არსებულ ინფორმაციებს.

გადამოწმდა, იტალიის, საფრანგეთის, ბელგიის, ლუქსემბურგის, ლიეტუვას, ავსტრალიის, პოლონეთის, სომხეთის და თურქეთის კონკურენციის უწყებების ოფიციალური გვერდები, ასევე გადამოწმდა Competition Policy International -ის და ევრო კომისიის ვებგვერდი.

15 20

info@gcca.gov.ge

www.gcca.gov.ge

GCCA • საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო

GCCA • Georgian Competition and Consumer Agency

0102 ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზირი - 154.
ბიზნეს ცენტრი "მწვანე ოფისი"